შ.პ.ს. საპროექტო
არქიტექტურულ-დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI"

საქართველო, თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ: (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

**L.T.D. projecting
architect-design studio
„BAZISI XXI"**

**63a Agmashenebeli av.
Tbilisi, Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com**

№ 134/14

„19" ნოემბერი 2014წ

საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, მარნეულის ქუჩა №42, შ.პ.ს. „სევკორ"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.18.12.021.002 მდებარე კარკასის გამოყენებით საწარმოო დანიშნულების შენობის მოწყობის (ამოშენება, გადახურვა, კარ-ფანჯრების ჩასმა) შესაძლებლობა და მომიჯნავე შენობის მდგრადობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩატარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე კარკასის, არსებული მზიდი კონსტრუქციების საერთო მდგრადობის, მისი გამოყენებით საწარმოო დანიშნულების შენობის მოწყობის (ამოშენება, გადახურვა, კარ-ფანჯრების ჩასმა) შესაძლებლობისა და მომიჯნავე შენობის მდგრადობის დასადგენად.

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, მარნეულის ქუჩა №42, შ.პ.ს. „სევკორ"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.18.12.021.002 მდებარე კარკასი წარმოადგენს ერთსართულიანი (უსარდაფო), სამრეწველო დანიშნულების შენობის დემონტაჟისაგან დარჩენილ ნაწილს. დემონტირებული შენობა წარმოადგენდა მონოლითური და ანაკრები რკ/ბეტონის კარკასულ ნაგებობას. ამჟამად დარჩენილია მონოლითური რკ/ბეტონის სვეტები წერტილოვანი საძირკვლებით. გადახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილები, ანაკრები რკ/ბეტონის კოჭები და კარკასის შემავსებელი აგურის კედლები, სვეტების ნაწილი დაშლილია და გატანილია ტერიტორიიდან.

არსებული სვეტები მონოლითური რკ/ბეტონისაა, განივი კვეთით 50X60სმ, სიმაღლით 6.0(H) მეტრი. განივი მიმართულებით სვეტების ბიჯი შეადგენს 8,80 მეტრს (ორი მალი); გრძივი მიმართულებით სვეტების ბიჯი შეადგენს 6,0მეტრს (გამოყენებული იქნება სამი მალი); არსებული სვეტების თავზე შემორჩენილია ჩასატანებელი დეტალები, ლითონის ფურცლების სახით, სვეტები დაარმირებულია 8Φ20A-III გრძივი არმატურებით.

პროექტით გადაწყვეტილია არსებული სვეტების გამოყენებით (განივი ორი მალის და გრძივი სამი მალის) საწარმოო დანიშნულების შენობის მოწყობა, რაც მოიცავს: მოჭრილი რკ/ბეტონის სამი სვეტის ნაცვლად ლითონის სვეტების მონტაჟს; დამატებულ და არსებულ სვეტებზე მსუბუქი ტიპის გადახურვის მოწყობას; კარკასის შევსებას (კედლების ამოშენება, კარ-ფანჯრების მოწყობა).

<u>ზემოთაღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:</u>

- დემონტირებული რკ/ბეტონის სამი სვეტის ნაცვლად, ახალი სვეტები მოეწყოს კვადრატული პროფილის ფოლადის მილებისაგან;
- ლითონის სვეტების დასამონტაჟებლად გამოყენებული იქნას დემონტირებული სვეტების არსებული მიწისქვეშა ნაწილი, დარჩენილ არმატურებზე დაედუღოს ფოლადის საყრდენი ფურცლები და კვანძი დაბეტონდეს;
- ერთი დაზიანებული რკ/ბეტონის სვეტის გადაჭრილი არმატურები შეედუღოს დამატებითი არმატურის ნაჭრებით, გაშიშვლებული კვანძები და არმატურები დაბეტონდეს წვრილი ფრაქციის ბეტონით, კლასით B20 (მ-250);
- გადახურვა მოეწყოს ლითონის ფერმებით, რომლებიც დამონტაჟდება არსებულ და დამატებულ სვეტებზე.

- კარკასის შევსება მოხდეს მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობით, კედლების წყობა ჩამაგრდეს სვეტებთან.

საპროექტო ობიექტს:

- **ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან** ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია და შემდეგ გზა;
- **ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან** ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია
- **სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან**– ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია;
- **სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან**– ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი შენობა და მცირე ნაწილში მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გზა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მდებარე მომიჯნავე შენობა ორსართულიანია, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით მომიჯნავე შენობა მზიდკედლებიანი ტიპისაა; კედლები აგურის და მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, სისქით 40სმ, სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

მომიჯნავე შენობასთან მიმართებაში მიწის სამუშაოები არ ტარდება. მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობის კედლები სისქით 20 სმ, ნაცვლად დაშლილი 40 სმ სისქის კედლისა ეწყობა არსებულ ცოკოლზე; გადახურვა ეწყობა არსებულ სვეტებზე. საპროექტო გადახურვა მსუბუქი ტიპისაა, ნაცვლად დემონტირებული რკინაბეტონის გადახურვისა. საპროექტო შენობისაგან მოსული დატვირთვები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დემონტირებული შენობისაგან საძირკვლებზე გადაცემული დატვირთვები იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობა უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს მომიჯნავე შენობაზე.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI" ადგენს, რომ ქ. თბილისში, ხუტორო-კრწანისი, მარნეულის ქუჩა №42, შ.პ.ს. „ხვეკო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.18.12.021.002 მდებარე კარკასის გამლიერებით საწარმოო დანიშნულების შენობის მოწყობა (ამოშენება, გადახურვა, კარ-ფანჯრების ჩასმა) შესაძლებელია არსებული სვეტების და საძირკვლების შენარჩუნებით, ზემოთაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საპროექტო მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოები არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, ორსართულიანი შენობის არსებული მდგრადობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
ტექ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
ექსპერტ-კონსტრუქტორი /ვ. ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გაშბირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე.
  გენერალური დირექტორი, .
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე.
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე.	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული საიტი: http://public.reestri.gov.ge



ინფორმაცია საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ

მე, გიორგი გიგის ძე ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტში". 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს, ასევე ვწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას.
2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. "ბაზისი-XXI"-ის დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემს უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საყარულოს ქ. №7-7ა
- მიწისძვრისგან დაზიანებული ქ. თბილისის №4 საშკოლის გამაგრების პროექტი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის ქ. № 15-17
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამრ. № 34-ში
- 9 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე
- ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. № 31
- ინდ. საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, საგურამოში, კოჯორში, ტაბახმელაში, წავკისში, შინდისში და სხვა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- მრავალფუნქციური შენობა ქ. წამებულის ქ. №47-49 და ბოჭორმის ქ. №8
- მრავალფუნქციური შენობა ვ/დიღომში, ტელევიზორების ქ-ნის მიმდებარედ
- მრავალფუნქციური შენობა გულუას ქ. №1 ("ორთაჭალის ვარსკვლავი")
- მრავალფუნქციური შენობა ც. დადიანის ქ. №№133, 141, 145, 147
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შარტავას ქ. № 75
- კვების პროდუქტების საწარმოს შენობები ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშხანაგობა "სანაპირო 2005" ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარედ
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბარნოვის ქ. №51/თარხნიშვილის ქ. №27
- მრავალფუნქციური შენობა ფანასკერტელის ქ. №12-ში
- მრავალბინიანი შენობა დიღების II შეს. №19[ა]
- ქ. თბილისში I კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული კორპუსის ნანგრევის გაძლიერება
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, პანკოზის ქ. №7/9
- ქ. თბილისში, ქუთაისელის ქ. №18-20, აშხანაგობა "რიდერი"-ს მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტი
- ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №9 აშხანაგობა "სეკუ კლინიკა"-ს შენობის კორექტირებული პროექტი
- ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის პროექტი
- ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, აშხანაგობა "დიღომი-ველი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

მოწოდებულ ინფორმაციის ვალიდურობაზე:

შ.პ.ს. "ბაზისი-XXI"-ის
გენერალური დირექტორი ი. ცერცვაძე

შემოვაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა:	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება:	შ.პ.ს. "ბაზისი-XXI"
სახელი:	ვახტანგ ჯაფარიძე
პროფესია:	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
დაბადების თარიღი:	10.06.1963 წ
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	25 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	11 წელი
ეროვნება:	ქართველი
მოვალეობის დეტალური აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება
განათლება: 1980–1985 წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაცია: 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. "იბილქალაქპროექტი"-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. "ბაზისი-XXI"-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები: 1985-2010 წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და საწარმოო დანიშნულების ობიექტები; შენობების აღდგენა-განმტკიცების პროექტები.

ენები:	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	შესანიშნავად	შესანიშნავად	შესანიშნავად
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:

მე, ქვემორე ხელისმოწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს განათლებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე